

გასული წელი საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში შეიძლება შეფასდეს რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევების დაძლევის წლად, რომელიც მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და ხარისხის, ჩვენი საზოგადოებისათვის მართლმსაჯულების მაქსიმალური ხელმისაწვდომობის მიმართულებით გამოირჩეოდა.

2017 წლის ძირითადი მოვლენაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამტკიცებული სასამართლო სისტემის 5 – წლიანი (2017-2021) სტრატეგიისა და 2 – წლიანი (2017-2018) სამოქმედო გეგმა. სტრატეგია საერთაშორისო ორგანიზაციათა რეკომენდაციების გათვალისწინებითა და სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობით მიღებული და ურთიერთშეთანხმებული დოკუმენტია.

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სტრატეგიის შემუშავების პროცესში შეტანილი წვლილისთვის, ევროპის საბჭოს, ევროკავშირს, ამერიკის საელჩოს, საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ).

სტრატეგიით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებების განხორციელების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა სტრატეგიის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის მექანიზმი. საბჭოს ფორმატში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები (4 სამუშაო ჯგუფი), რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან უშუალოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე. დღეის მდგომარეობით, მზადდება ანგარიში სტრატეგიის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების თაობაზე. დღევანდელ მოხსენებაში ასევე ყურადღება გამახვილებულია სტრატეგიის 6 თვის ანგარიშის შესრულებაზე. უახლოეს მომავალში აღნიშნული ინფორმაცია განსახილველად წარედგინება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

მოგეხსენებათ, რომ სასამართლო სტრატეგიის პირველი თავი ეხება საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას.

სტრატეგიის მიხედვით, გათვალისწინებულია სასამართლოს დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცება კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონმდებლობით.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარმოადგენდა საერთო სასამართლობის სისტემას საკონსტიტუციო კომისიაში, რომლის ფარგლებშიც კომისიას მიაწოდა წინადადებები კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის დანაწესის მიხედვით, 2024 წლის 31 დეკემბრამდე მოსამართლეები საგამოცდო ვადით განწესდებიან იმ შემთხვევაში, თუ არ ექნებათ მოსამართლედ მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. რაც შეეხება იმ კანდიდატების უვალოდ დანიშვნის საკითხს, რომელთაც მოსამართლედ მუშაობის 3 – წლიანი გამოცდილება გააჩნიათ, ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, შესაბამისი კონკურსის წარმატებით გავლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან ხმათა საჭირო რაოდენობის მიღების შემთხვევაში განწესდებიან უვალოდ.

ორგანული კანონის ახალი დანაწესის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წელს (ნოემბერში) თანამდებობაზე უვალოდ განამწესა 34 მოსამართლე, ხოლო 4 მოსამართლეს უარი ეთქვა უვალოდ განწესებაზე და მათ გააგრძელეს უფლებამოსილების განხორციელება სამწლიანი ვადის ამოწურვამდე. ამჟამად სისტემაში 3 წლის ვადით დანიშნული 149 მოსამართლეა, რომელთაგან 109–ს აქვს მოსამართლედ მუშაობის სამ წელზე მეტი გამოცდილება და შეუძლიათ მიმართონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე უვალოდ განწესების საკითხის გადასაწყვეტად. დღეისათვის საერთო სასამართლოების სისტემაში 299 მოსამართლეა. აქედან უვალოდ დანიშნულია 78 მოსამართლე და უვალოდ გადანიშვნის პროცესი გრძელდება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მონაწილეობით 2017 წლის 11 დეკემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს წინადადებები უვალოდ განწესების თაობაზე გარდამავალი საკანონმდებლო დებულების დახვეწასა და კონკრეტულობაზე. სამუშაო შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიაწოდებს წინადადებებსა და მოსაზრებებს საკანონმდებლო რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ (აღნიშნულის საჭიროება 2017 წლის ნოემბრის მოსამართლეთა უვალოდ დანიშვნებმაც აჩვენა).

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია ასევე ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უვალოდ დანიშვნას. კონსტიტუციით განისაზღვრა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო პარლამენტს წარუდგენს უზენაესი სასამართლოს წევრებს დასამტკიცებლად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მინიმალური

რაოდენობა განისაზღვრა 28 წევრით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის თაობაზე რეკომენდაციები შეიმუშავა ევროპის საბჭოს მოწვეულმა ექსპერტმა<sup>1</sup> გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის ქვეყნებში არსებული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე. ასევე პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში მიმდინარეობს წინადადების შემუშავება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის წესისა და კრიტერიუმების თაობაზე. ეს წინადადებები უახლოეს პერიოდში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარედგინება განსახილველად.

მიმდინარე წელს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციის განახლებულ რედაქციაში განსაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი და დაადგინა საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების ორგანული კანონის რანგში მოწესრიგება. საბჭოს საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების შემუშავების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭომ, საქართველოს პარლამენტსა და იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ამზადებს საკანონმდებლო წინადადებებს. ასევე, სასამართლოსთან დაკავშირებულ სარეფორმო საკითხებზე მსგავსი ფორმატის შეხვედრების ფარგლებში მიმდინარეობს მსჯელობა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დახვეწისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შემდგომი რეფორმირების თაობაზე. სამუშაო შეხვედრების ფორმატში მონაწილეობენ „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ PROLoG-ის ექსპერტი, ბატონი ტიმ ბალანდი და ევროსაბჭოს ექსპერტი, ბატონი გერჰარდ რაისნერი.

სტრატეგიის მიხედვით, **ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს** მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურის დახვეწა. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 15 მარტს ამოქმედდა რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში შემუშავებული მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების ახალი პროცედურები. ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით გასულ წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წლის 17 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე 84 ვაკანტურ თანამდებობაზე განამწესა 64 მოსამართლე, მათ შორის უვადოდ დაინიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი და უზენაესი სასამართლოს ოთხი ყოფილი

---

<sup>1</sup> Nina Betetto, Judge of the Supreme Court of Slovenia; Vice-President of the Consultative Council of European Judges

მოსამართლე.<sup>2</sup> 2017 წლის 16 ოქტომბერს 52 ვაკანტურ თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კვლავ გამოაცხადა კონკურსი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის სხდომაზე მოსამართლეობის კანდიდატთა კენჭისყრის შედეგად თანამდებობაზე განწესდა 34 მოსამართლე, რომელთაგან 15 სკოლის მსმენელი, 1 ყოფილი მოსამართლე, ხოლო 18 მოქმედი მოსამართლე გახლდათ. ამავდროულად, 2016-2017 წლების განმავლობაში, კანონით გათვალისწინებული მოსამართლეთა შეფასების სისტემის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 3 – წლიანი საპრობაციო ვადით დანიშნული 21 მოსამართლე უვადოდ განამწესა თანამდებობაზე.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის პროცესში კანდიდატების თაობაზე არსებული ინფორმაცია საბჭოს ვებგვერდზე განთავსდა. დაინტერესებულ დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თვალი ედევნებინათ პროცესისთვის და სრული ინფორმაცია მიეღოთ წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსების თაობაზე.

ამასთან, სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით, გასული წლის განმავლობაში დონორი ორგანიზაციების მოწვევით საერთაშორისო ექსპერტებმა წარმოადინეს თავიანთი ხედვები და რეკომენდაციები მოსამართლეთა შერჩევის კანონით გათვალისწინებული პროცედურების პრაქტიკაში დანერგვის თაობაზე. მოწვეული იყვნენ ევროპის საბჭოს ექსპერტი და ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გერჰარდ რაისნერი და პროექტის – „კანონის უზენაეობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ექსპერტი, ამერიკელი მოსამართლე ტიმ ბალანდი.

**ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში** განსაკუთრებული როლი ენიჭება მოსამართლეთა დაწინაურებისა და შეფასების მექანიზმის სრულყოფას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. სწორედ ამ მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და უზენაესმა სასამართლომ, ევროპის საბჭოსა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მხარდაჭერით, სამუშაო შეხვედრა გამართა.<sup>3</sup> ამ შეხვედრის ფორმატში განხილულ იქნა რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც, მოსამართლეთა შეფასების რაოდენობრივ სისტემასთან ერთად შემოღებულ უნდა იქნეს მოსამართლეთა საქმიანობის ხარისხობრივი შეფასება. ამჟამად, რეკომენდაციების მიხედვით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მოსამართლეთა შეფასების წესის გასაუმჯობესებლად.

<sup>2</sup> 25 მოქმედი მოსამართლე, 6 იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, 5 უზენაესი/საკონსტიტუციო და 28 ყოფილი მოსამართლე

<sup>3</sup> 2017 წლის 14-15 ნოემბერი

უმნიშვნელოვანეს ცვლილებას, რაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერებისთვის განხორციელდა, წარმოადგენს საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რამაც საზოგადოებაში სასამართლოს ობიექტურობის რწმენის განმტკიცებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. აღნიშნული წესის შესაბამისად, 2017 წლის 1 მაისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, განაწილების წესის დამტკიცების შესახებ.“ 2017 წლის 31 დეკემბერს საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდა.

**მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულ სტრატეგიულ მიმართულებაში შეუსრულებელი დარჩა 2017 წელს დაგეგმილი ცალკეული აქტივობები.**

სტრატეგიით განსაზღვრულ შეუსრულებელ თემებს განეკუთვნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის განახლება;
- ✓ საბჭოს წევრების თანდათანობითი განახლების მიზანშეწონილობის კვლევის განხორციელება;
- ✓ საკანონმდებლო წინადადების მომზადება სასამართლო ხელისუფლების უფლებაზე, პირდაპირ წარუდგინოს პარლამენტს ბიუჯეტი;
- ✓ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებად მიღებისას გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ წინადადებების მომზადება;
- ✓ მოსამართლეთა ანაზღაურებისა და საპენსიო ახალი სისტემის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურის, ვადებისა და კომპეტენციის თაობაზე არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ წინადადების მომზადება, რომელიც გაითვალისწინებს რეგიონის მოსამართლეების ჩართულობის გაზრდას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში;
- ✓ სასამართლოს/მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზეწოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემის კვლევა და მისი შემოღების საჭიროების განსაზღვრა.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ვფიქრობთ, მათი გონივრულად და გააზრებულად გადაჭრა კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის კიდევ უფრო დახვეწასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული აქტივობების განხორციელება გათვალისწინებული იქნება 2018 წლის სასამართლო სისტემის სამოქმედო გეგმაში, რის თაობაზეც ინფორმაცია წარედგინება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. აქტივობების შემდგომი წარმატებით შესრულებაში განსაკუთრებით დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ყურადსაღებია, რომ სასამართლო სტრატეგიის მეორე თავი ეძღვნება ისეთ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მოსამართლეთა **დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების საკანონმდებლო რეგლამენტაცია**. კვლავაც ძირითად გამოწვევად რჩება დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების დახვეწა და საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ორგანული კანონის ფორმატში მისი მოწესრიგება. აღნიშნული საკითხის თაობაზე სასამართლო რეფორმის განგრძობადობის რეჟიმში საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლო კორპუსის წარმომადგენლებს შორის გაიმართა 5 სამუშაო შეხვედრა. შეხვედრების განმავლობაში განიხილებოდა საკითხი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების შემდგომ დახვეწასა და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაზე.

საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა ევროპის საბჭოს „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში მოწვეული ექსპერტი, გერჰარდ რაისნერი (ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) ყოფილი თავმჯდომარე), რომელმაც წარმოადგინა რეკომენდაციები/კომენტარები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების თაობაზე, ასევე სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მოწვეული ექსპერტის – ვიქტორის ჰენლის საკანონმდებლო წინადადებები დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ.

ინდივიდუალური მოსამართლის ანგარიშვალდებულების გაძლიერებისთვის 2017 წლის 8 თებერვალს ამოქმედდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი. დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია, პროცესის მონაწილე მხარეთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ან/და წინადადებაში მოცემული

ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლოს საჩივრები და პრეტენზიები და თავისი დასკვნით წარსდგეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე. კანონის ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 8 მაისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსი დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციაზე წარუმატებლად დასრულდა და კანდიდატურა ვერ შეირჩა. მოგვიანებით, განმეორებით გამოცხადებულ კონკურსზე შეირჩა კანდიდატურა, რომელიც უფლებამოსილების განხორციელებას 2017 წლის 21 ნოემბრიდან შეუდგა. ამ პერიოდისთვის ინსპექტორს განსახილველად გადაეცა 116 საქმე/საჩივარი.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო დონორ ორგანიზაციებს დისციპლინური სამართალწარმოების რეფორმის საქმეში გაწეული მხარდაჭერისათვის. მინდა მოგახსენოთ, რომ მიმდინარე წელს ევროპის საბჭოს „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში იგეგმება დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტისა და მისი აპარატის გაძლიერება. ამ მიზნით, თებერვალში საქართველოში ჩამოდის ეპანელი მოსამართლე, რომელიც შეისწავლის დამოუკიდებელი ინსპექტორისა და მისი აპარატის საჭიროებებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარმოადგენს. ამავდროულად, პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში გათვალისწინებულია ინსპექტორის ინსტიტუტისა და აპარატის წევრების მხარდაჭერა.

გასული წლის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის (CEPEJ) შეფასების მისიის ვიზიტი, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოწვევით განხორციელდა. დელეგაციის ვიზიტის მიზანი იყო მართლმსაჯულების სისტემაში მონაცემების შეგროვების სანდოობის გაზრდა და მონაცემების შეგროვების ეფექტური შიგა მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა.

2017 წლის ივლისში ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში სასამართლო სტატისტიკის გაუმჯობესების მიმართულებით ჩაერთო სლოვენელი ექსპერტი რადო ბრეხოვარი. ექსპერტმა წარმოადგინა სტატისტიკის წარმოების სტანდარტები მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

სტრატეგიით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმის ამოქმედება.

ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში მიმდინარეობს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ადგილობრივი ექსპერტის მონაწილეობით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და მოსამართლეების მონაწილეობით 2017 წლის 11-12 ნოემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა გერმანელ მოსამართლე ელენ ბესტთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სპიკერ-მოსამართლეებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ფუნქციონირების ერთგვაროვანი პრაქტიკის შემუშავება და დანერგვა.

**მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საწყისი მომზადებისა და განგრძობადი განათლების გაუმჯობესების მიზნით,** იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2017 წლის პროგრამის ფარგლებში, ადამიანის უფლებების მიმართულებით ჩაატარა 20 ტრენინგი, 121 მოსამართლისა და 223 სასამართლოს მოხელის მონაწილეობით. სწავლებები ტარდებოდა სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების შესწავლის საფუძველზე. სწავლებებმა, ძირითადად, მოიცვა სამი მიმართულება: ადამიანის უფლებები, სასამართლო მენეჯმენტი და ეფექტური კომუნიკაციის სტანდარტები.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, მიმდინარე წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. 2016 წელს ამოქმედდა იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ევროპის საბჭოს (CoE) ერთობლივი პროექტი - „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება.“ ასევე, 2017 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი დამმობილების პროგრამის (TWINNING) პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას ინსტიტუციური მოწყობისა და სასწავლო პროგრამების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გზით.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის სწავლების მეთოდების დახვეწისა და გაძლიერების მიმართულებით ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში ახალი სასწავლო მოდულები შემუშავდა. ევროპის საბჭოს საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა შეიმუშავეს 9 სასწავლო მოდული, რომლებიც საჭიროებების კვლევის საფუძველზე დაიგეგმა, ასევე მოხდა ტრენერთა ტრენინგების ორგანიზება და განხორციელდა საპილოტე ტრენინგები. სკოლის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის ევროკავშირის „Twinning“-ის პროექტის ფარგლებში ჩატარდა სასამართლოს მოხელეთა საჭიროებების კვლევა, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა



მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა პროფესიული გადამზადების პროგრამა. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში იგეგმება სკოლის დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გაძლიერება და საპილოტე ელექტრონული პროგრამის მომზადება.

მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხშირი ინფორმირება და წლის განმავლობაში დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების თაობაზე მსჯელობა მოსამართლეთა კონფერენციებზე, მოსამართლეთა ასოციაციის შეხვედრებსა თუ პროფესიულ და აკადემიურ წრეებთან.

მოსამართლეთა კვალიფიკაციისა და სასამართლო უნარ-ჩვევების შემდგომი გაუმჯობესებისა და საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების გაზიარების მიზნით, მისასალმებელია USAID-ისა და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერილი ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლეთა გაცვლით პროგრამებსა და სტაჟირებას ამერიკის შეერთებულ შტატების სასამართლო სისტემაში. აღნიშნულის თაობაზე პრეზენტაციას დღეს მოაწყოვენ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის თანამშრომლები.

**სტრატეგიით გათვალისწინებული სასამართლო მოხელეთა პროფესიონალიზმის გაძლიერებისა და ამავდროულად „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში მიმდინარეობს სასამართლოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავება და შეფასების სისტემის დანერგვა. საჯარო სამსახურის შესახებ კანონით დადგენილი ახალი სისტემის დანერგვას ხელს უწყობს ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).**

სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უზენაეს სასამართლოში 2017 წლის 1 ივლისიდან ჩამოყალიბდა მოსამართლეთა სამართლებრივი მხარდაჭერის მიმართულება, რომელიც მოიცავს ადგილობრივი სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადების,<sup>4</sup> საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის კვლევის<sup>5</sup> და სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის განყოფილებებს.

<sup>4</sup> ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ 2017 წელს მომზადებული გამოცემები საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა შრომის სამართალში; უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე; ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა;

<sup>5</sup> საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ 2017 წელს მომზადებული გამოცემები: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე“; „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2015-2017 წლებში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და განჩინებები“; სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სისხლისსამართლებრივი და

დონორების რეკომენდაციით, მოსამართლეების მხარდამჭერი მსგავსი რგოლი მიზანშეწონილია, ჩამოყალიბდეს რაიონულ/საქალაქო და სააპელაციო სასამართლო სისტემაშიც.

**სტრატეგიის მიხედვით, საერთო სასამართლოების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება საქმეთა ჭარბი რაოდენობა და მისი ეფექტური მართვის საკითხები.** გადატვირთულობის მხრივ კვლავ პრობლემატურია თბილისის საქალაქო სასამართლო. 2016-2017 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განხილული საქმეების 79,8%-ს შეადგენს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ჯერ კიდევ 2016 წლის ბოლოს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციების გათვალისწინებით დაკომპლექტდა საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების განმხილველი კოლეგიის შემადგენლობა.<sup>6</sup> შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 თვის მონაცემებით, წარმოებაში არსებული დავებიდან - 51%-ზე მეტი საქმის განხილვის დასრულება მოხდა.

მიუხედავად ამისა, საქმეების ჭარბი ნაკადი კვლავ რჩევა დღევანდელი მართლმსაჯულების ერთ-ერთ გამოწვევად. საქმეთა გადატვირთულობის შემცირების მიზნით, საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებსა და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში. ცვლილებებით გათვალისწინებულია მაგისტრატი მოხელის პოზიციის გააქტიურება, რომელიც მარტივი და გარკვეული კატეგორიის დავებს მოკლე დროში განიხილავს. ამავდროულად, თბილისის საქალაქო სასამართლოს განტვირთვის მიზნით, იგეგმება რეგიონულ სასამართლოებში ამგვარი დავების განსჯადობის გადანაწილება, სადაც, მცირედით, მაგრამ შედარებით ნაკლებია მოსამართლეების დატვირთვა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ინიცირებულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ და მიმდინარეობს მათი განხილვა.

---

სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტები); კვლევა - ბრალდების ფარგლები და მხარეთა თანასწორობის პრინციპი სისხლის სამართალში; „დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“; გამოხატვის თავისუფლებასა და ადვოკატის რეპუტაციასთან დაკავშირებით სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით.

<sup>6</sup> დღესდღეობით თბილისის საქალაქო სასამართლოში მსგავსი კატეგორიის საქმეებს განიხილავს 5 მოსამართლე.

ასევე, კომერციული დავების სწრაფად და ეფექტურად განხილვის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით 2017 წლის 1 აგვისტოდან თბილისის საქალაქო სასამართლოში კომერციული დავების განმხილველი 5 მოსამართლის შემადგენლობით ვიწრო სპეციალიზაცია ჩამოყალიბდა.<sup>7</sup> კომერციული დავების განმხილველ მოსამართლეებს გადაეცათ 250 საქმე, საიდანაც ამ პერიოდში დასრულდა 102 (40,8 %) საქმის განხილვა.

**სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.** 2017 წლის 1 იანვრიდან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი გაფართოვდა და ქუთაისისა და თბილისის საქალაქო სასამართლოების გარდა, ბათუმის, თელავის, ზუგდიდისა და გორის საქალაქო/რაიონული სასამართლოები მოიცვა. ამ ინსტიტუტის ეფექტური ამოქმედებისთვის გასულ წელს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტისა<sup>8</sup> და საქართველოში ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით შემუშავდა ნაფიც მსაჯულთა სამართალწარმოების ინსტრუქციები. ამავდროულად, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით<sup>9</sup> მომზადდა რეკომენდაციები საკანონმდებლო წინადადებების შემუშავების მიზნით.<sup>10</sup> ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს კვლავ იგეგმება მოსამართლეთა სასწავლო ვიზიტები ამერიკის შერეულ შტატებში და ამერიკელი მოსამართლეების მენტორინგის პროგრამა საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სრულყოფისა და მისი შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით, მიმდინარეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლეების შემდგომი გადამზადება, ასევე იგეგმება რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ

<sup>7</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება #1/238, 2017 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა.

<sup>8</sup> ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩევლის, მაიკლ გრანტის ინიციატივით.

<sup>9</sup> ექსპერტ ჯერემი მაკბრაიდის მოწვევით.

<sup>10</sup> აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულია 9 სისხლის სამართლის საქმე 10 პირის მიმართ. აქედან თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 3 საქმე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 3 საქმე, რუსთავის საქალაქო, გორისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოების მიერ თითო-თითო საქმე. ნაფიც მსაჯულთა მიერ ერთი პირის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი ვერდიქტი (სსკ-ის 186-ე მუხლი - დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნა), ერთი პირის მიმართ - ნაწილობრივ გამამართლებელი (გამართლდა სსკ-ის 109-ე მუხლით, წარდგენილ ბრალდებაში - განზრახ მკვლელობა), ხოლო 8 პირის მიმართ - გამამტყუნებელი ვერდიქტი. გამამტყუნებელი ვერდიქტები გამოტანილია განზრახ მკვლელობის ან მცდელობის საქმეებზე.

უზენაესი სასამართლოს თაოსნობით მიმდინარე წელს დაიწყება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარების შემუშავება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ეფექტურ იმპლემენტაციაზე მიუთითებს სასამართლოს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, საგრძნობლად შემცირდა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება (2016 წლის 11 თვის 32,6%-დან 2017 წელს შემცირდა 25%-მდე, შესაბამისად, 2017 წელს გაიზარდა შინაპატიმრობის ხვედრითი წილი 20,5%-მდე).

სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, პროცედურების გამარტივებისა და საქმეთა ელექტრონული წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კუთხით მთავარ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ელექტრონული მართლმსაჯულების განვითარება. ამ მიმართულებით გაუმჯობესდა სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეოჩაწერის ტექნიკური მხარდაჭერა, სრულად შეიცვალა მონაცემთა ცენტრი, რომელიც საშუალებას იძლევა ორმოცამდე ელექტრონული სერვისი დაინერგოს, მათ შორის – გაუმჯობესდეს სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული ბაზის ხელმისაწვდომობა, ასევე, ჩამოყალიბდეს სასარჩელო განცხადების ელექტრონული სისტემა და შეიქმნას მომხმარებელთა პორტალი. ამ მიმართულებით დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით დაგეგმილია სასამართლოში ელექტრონული საქმეთა წარმოების პროგრამის ხარვეზების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის განმავლობაში საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობდა უზენაეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო. საბჭომ საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით განიხილა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორებიცაა: ნაფიც მსაჯულთა პროცესის ინსტრუქციების შემუშავება; „ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ საქმეებზე ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა“; „აგრესიის დანაშაული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედებამდე“; მხარდამჭერის ინსტიტუტის დანერგვა; „საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები“; არასრულწლოვანთა საქმეებზე სასჯელის დასაბუთების პრაქტიკა; „სასამართლო მონიტორინგის პროგრამის“ მე-17 შუალედური ანგარიშის განხილვა. განსაკუთრებული მადლობა დონორ ორგანიზაციებს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის მხარდაჭერისათვის, რაც მიმდინარე წელს აქტიურად გაგრძელდება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის ქართული ვერსია და ითარგმნა 45 აქტუალური გადაწყვეტილება.

**მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით**, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა განახორციელა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის აღსანიშნავია ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს ახალი შენობის მშენებლობა და ფუნქციონირების განახლება, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარგებლობისათვის და სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისთვის ფლიგელის მშენებლობა, სადაც 28 ახალი სასამართლო დარბაზი დაიწყებს ფუნქციონირებას. მშენებლობის დასრულება იგეგმება 2018 წლის ივნისში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განტვირთვის მიზნით, დაგეგმილია ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უსაფრთხოების დაცვის მაღალი სტანდარტებით. მშენებლობის დასრულება იგეგმება 2020 წლის ბოლოს. აღნიშნულ პროექტს მხარს უჭერს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომლების გადამზადებასა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას ამერიკის შეერთებულ შტატებში სათანადო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

და ბოლოს, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. 2017 წლის განმავლობაში ნაყოფიერი შეხვედრები გაიმართა ევროკავშირის ელჩთან იანუშ ჰერმანთან, ამერიკის შეერთებული შტატების ელთან იან კელისთან და ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელთან კრისტიან ურსესთან. მათ განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოხატეს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერების კუთხით, რაც ერთ-ერთი საწინდარი იქნება ქართული მართლმსაჯულების უფრო მაღალ სტანდარტებთან მისადაგებისათვის.